

დელოქტურ და სახელშეკრულებო ნორმათა კონკურენცია ქართულ
სამართალში, პაციენტისთვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში

ალეკო მაჩალაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო (ბიზნეს)
სამართლის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი მაისურაძე, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი 2017

აბსტრაქტი

აღნიშნული ნაშრომის კვლევის საგანია სახელშეკრულებო და დელიქტურ ნორმათა კონკურენცია ქართულ სამართალში, პაციენტისთვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში. დღესდღეობით ქართულ სამართლებრივ რეალობაში ნორმათა, შესაბამისად მოთხოვნათა კონკურენციის საკითხი ერთ-ერთი აქტუალური და პრობლემატურია, ვინაოდან კანონმდებლობა არ აკეთებს კონკრეტულ დათქმას ან მითითებას ამა თუ იმ სიტუაციაში გამოსაყენებელი ნორმის შესახებ. აქედან გამომდინარე, რთულია განსაზღვრო კონკურენციაში მყოფი საფუძვლებიდან რომელია უპირატესად გამოსაყენებელი.

ნაშრომში გაანალიზებული იქნება, სახელშეკრულებო და დელიქტური ნორმების თავისებურებანი, მათი დარღვევის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებები და კონკურენციის შემთხვევები. ასევე განვიხილავთ თითოეული მოთხოვნის საფუძველს, ჩამოყალიბებული იქნება ის კრიტერიუმები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს კონკურენციის შემთხვევაში განვსაზღვროთ უპირატესად გამოსაყენებელი მოთხოვნის საფუძველი.

ნაშრომში თეორიისა და პრაქტიკული მაგალითების ურთიერთშეჯერების ფონზე, განვიხილავთ იმ გარემოებებს, რომლებიც დელიქტური სარჩელის უპირატესობას გაუსვამს ხაზს, სახელშეკრულებო სარჩელთან მიმართებით. ნაშრომში გამოყენებული იქნება ნორმატიული და შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდები, გავანალიზებთ ქართულ კანონმდებლობას და სასამართლო გადაწყვეტილებებს.

Abstract

The research of this work is a competition in contractual and delicate standarts in Georgian Law, during the damage caused to the patient. At present, the Georgian legal norms of reality, in accordance with the requirements of competition and one of the most urgent problem, because the law makes no specific reference to any given situation or reservation about the use of the norm. Therefore it is difficult to understand the basics of competition, which is predominatly used.

In this article, we will review and analyze the peculiarities of the contractual and tort suit norms, and obligations after breaking them and competition cases. We will also discuss the basis for each demands, will be set out those criteria, which give us an opportunity to define the foundations of the dominant usable demand in case of competition.

On the background of comparing theory and practical examples in my work, we will discuss those circumstances, which will emphasize the advantages of a delicate suit. Regarding the contractual claims. Normative and comparative-legal reseach methods will be used in our work, and also analyzing Georgian legislation and court decisions.